

„ტედესკოდა“ შესაძღოა განათლების სფეროსთვის ბევრი თვადსაზრისით აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი



საქართველოს პირველი არხის პროექტი „ტედესკოდა“ შესაძღოა, განათლების სფეროსთვის ბევრი თვადსაზრისით აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი, – ამის შესახებ საქართველოს პირველი არხის გენერალურმა

დირექტორმა, ვასილ მაღლაფერიძემ განცხადა.

მაღლაფერიძემ კომენტარი გააკეთა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ავტორიტეტული ორგანიზაციის (OECD) შეფასებაზე, სადაც „ტედესკოდა“ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად არის დასახელებული.

„კარგი შეფასება ყოველთვის სასიხარულოა. ჩვენ ძალიან საინტერესოდ და ბევრს ვმუშაობდით განათლების სამინისტროსთან ერთად. მათ შორის ვმუშაობთ იმ პერიოდზეც, როდესაც ვირუსი ჩაივდის. ბევრი ახალი რესურსი გამოჩნდა ამ ტიპის სწავლებაზე“, – განაცხადა მაღლაფერიძემ.

მისივე თქმით, „ტედესკოდა“ არ არის მხოლოდ დისტანციური სწავლება და შესაძღოა, ძალიან საინტერესო ფორმა აღმოჩნდეს სამომავლო თანამშრომლობისთვისაც.

„ვფიქრობ, საქართველოს პოტენციური ძალიან ბევრი მიმართულებით წარმოჩინდა. ჩვენი მთავარი ძალა არის ინტელექტუალურ სფეროში და ეს მიმართულება უნდა განვავითაროთ

განსაკუთრებულად“, – აღნიშნა ვასილ მაღლაფერიძემ.